

შპს საჩხერის ქვიშა

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
ძირითადი საქმიანობა	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
ფული და ფულის ექვივალენტები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
საგადასახადო ვალდებულებები	12
შემოსავალი.....	12
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
სხვა შემოსულობა/ზარალი	13
კაპიტალი	13
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13
COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.....	13

შპს საჩხერის ქვიშა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31.12.2021-ის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2021	2020	2019
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	106445	77953	66359
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	318359	186534	106060
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4972	2926	2725
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	146	12932
სულ მიმდინარე აქტივები	429776	267559	188076
<i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>			
ნედლეული და მასალები	25396	12465	5411
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	25396	12465	5411
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ბიოლოგიური აქტივები	200	0	0
ძირითადი საშუალებები	1077432	325601	164504
სხვა არამატერიალური აქტივები	1016368	1062447	1103748
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	471861	460906
სულ გრძელვადიანი აქტივები	2094000	1859909	1729158
სულ აქტივები	2549172	2139933	1922645
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	212415	208374	152195
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1398	1360	0
საგადასახადო ვალდებულებები	57197	18075	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	100000	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	371010	227809	152195
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			

Handwritten signature

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	188961	206589	382884
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	188961	206589	382884
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1338992	1380737	1416500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	650209	324798	-28934
სულ საკუთარი კაპიტალი	1989201	1705535	1387566
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2549172	2139933	1922645

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით
 დირექტორი ვალერი ტურძელაძე თბილისი, საქართველო 01 აპრილი 2022 წელი

3.12.2022

შპს საჩხერის ქვიშა

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	2021	2020
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	1217 780	958 245
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	- 307 451	- 254 948
საერთო მოგება	910 329	703 297
საოპერაციო ხარჯები	- 576 329	- 354 850
საწარმოო ხარჯები	- 375 926	- 248 296
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	- 180 492	- 88 697
მიწოდების ხარჯები	- 19 911	- 17 857
საოპერაციო მოგება	334 000	348 447
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	- 8 589	5 286
განსაკუთრებული შემოსავლები	1 475	9 213
საპროცენტო შემოსავლები		
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	- 6 226	
საპროცენტო ხარჯები	- 657	- 452
საკურსო სხვაობა	- 1 522	- 1 835
კონვერსიის სხვაობა		
ქველმოქმედება	- 1 659	- 1 640
განსაკუთრებული ხარჯები		
წმინდა მოგება (ზარალი)	325 411	353 732

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვალერი ტურძელაძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

Handwritten signature

შპს საჩხერის ქვიშა

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	<u>2021</u>	<u>2020</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	77953	66359
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	107139	377436
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-138626	-182682
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	61204	-181600
სავალუტო კურსის ეფექტი	-1225	-1560
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	106445	77953

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვალერი ტურძელაძე. თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

შპს საჩხერის ქვიშა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ძირითადი საქმიანობა

შპს საჩხერის ქვიშა (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2018 წლის 27 აგვისტოს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2021 წელი	2020 წელი
ალექსანდრე წულუკიძე,	47%	47%
ლევან ტურძელაძე,	27%	27%
ვალერი ტურძელაძე	26%	26%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019, 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2020 და 2021 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2021 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. პირველი ორი წელი კომპანია იყო წამგებიანი, ვინაიდან ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ძირითადი საშუალებების შეძენაზე. მიუხედავად პანდემიისა და მისგან გამომდინარე მოვლენებისა 2020 და 2021 წელი იყო მომგებიანი. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით. წინასწარ მიღებული ავანსები განიხილება, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური ექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი



მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	10-15 წელი
მანქანა-დანადგარები	5-7 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-10 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითად და ღირებულ ნაწილს შეადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომელიც ქვიშის თვითღირებულებაზე ჩამოიწერება მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობის პროპორციულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

როდესაც მშენებლობა ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ თითოეული აქტივის მშენებლობა განიხილება როგორც დამოუკიდებელი და შესაბამისად ხდება მასზე გაწეული დანახარჯების მიკუთვნება სამშენებლო ერთეულის ღირებულების გამოსათვლელად. ფართის რეალიზაციის მომენტში თვითღირებულებად ჩამოიწერება გაყიდვის მომენტისათვის გაწეული დანახარჯების პროპორციული ნაწილი.

სავაჭრო მოთხოვნები

3.14.15

რელიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიის ძირითად ვალდებულებას შეადგენს მყიდველებისაგან მიღებული ავანსები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

31 დეკემბერი 2021წ

31 დეკემბერი 2020წ

ფული და ფულის ეკვივალენტები

106445

77953

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021წ.	31 დეკემბერი 2020წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	318359	186534
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		141
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4972	2926
სულ	323331	189601

მოკლევადიანი მოთხოვნები გაზრდილია 2021 წლის 31 დეკემბრისთვის გასულ წელთან შედარებით რეალიზაციის მოცულობის გაზრდის ხარჯზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021წ.	31 დეკემბერი 2020წ.
ნედლეული და მასალები	46	56
საწვავი	12 082	204
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11 112	8 933
სამშენებლო-სარემონტო მასალები	2 157	3 272
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	25 396	12 465

კომპანიის ძირითად სარეალიზაციო საქონელს წარმოადგენს კარიერიდან ამოღებული და გადამუშავებული ქვიშა. კომპანია არ აწარმოებს ამ საქონლის მარაგების შექმნას, ვინაიდან ბუნებრივი მოვლენების გავლენით დიდი რაოდენობით ხდება დაკარგვა. გადამუშავება ხდება იმ რაოდენობით, რა რაოდენობაზეც არის მოთხოვნა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2021წ.	31 დეკემბერი 2020წ.
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	212 415	208 054
მიღებული ავანსები	100 000	
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	1 398	1 360
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		320
სულ მიმდინარე ვალდებულებები	313 813	209 735

მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებების საკრედიტო ბრუნვამ 2021 წელს შეადგინა 898238 ლარი და შესაბამისად ხდებოდა ვალდებულებების დაფარვა, რაც მიუთითებს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021წ	31 დეკემბერი 2020წ
საგადასახადო ვალდებულებები	57 197	18 075

საბიუჯეტო გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს დარიცხულ და შემდგომ პერიოდში გადასახდელ საბიუჯეტო გადასახადებს.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალის უდიდესი ნაწილი შედგება ქვიშის რეალიზაციიდან. დამატებით კომპანიას აქვს ძირითადი საშუალებებისა და ნედლეულის გაყიდვებიდან.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

მოპოვებული ქვიშის თვითღირებულება მოიცავს:

ა) ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს საწარმოო დანადგარების რემონტზე;

- ბ) წარმოებაში დაკავებულ თანამშრომელზე გაცემულ ხელფასებს;
- გ) მასალების ტრანსპორტირების ხარჯებს;
- დ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს;
- ე) ლიცენზიის ღირებულებას;
- ვ) კომუნალურ გადასახადებს;
- ზ) მენარდეების მიერ გაწეულ მომსახურების ხარჯებს;
- თ) ტრანსპორტისა და დანადგარების იჯარის ხარჯებს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურს, კომუნიკაციის, ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს.

სხვა შემოსულობა/ზარალი

2021 საანგარიშგებო წელს კომპანია იყო მომგებიანი, თუმცა 2020 წელთან შედარებით შემცირდა ბინების რეალიზაციის მოცულობა ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული ეკონომიური კრიზისის გამო.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საკუთარი კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე და 2021 წლისთვის მყიდველთა დიდ ნაწილს შეექმნა გადახდის პრობლემები. მიუხედავად ამისა შპს საჩხერის ქვიშას საქმიანობა არ დამდგარა შეჩერების საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს მსგავსი მოლოდინი.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვალერი ტურძელაძე თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2022 წელი

